

## წყლულეთის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი

თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ის დაშორებით, მთებში აჩაფლული სააგარაკო დასახლება სოფელი ქვემო წყლულეთი, რომელსაც ძველი ნასოფლარის ადგილი უკავია. დასახლების ცენტრში დგას ივერიის ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია. იგი სუფთად გათლილი ქვიშაქვის კვადრებითაა ნაგები, მდიდრულადაა დეკორირებული და XII-XIII სს-ით თარიღდება.

ქვემო წყლულეთის სამხრეთით, მდ. ვერეს გადაღმა, ტყეში მოჩანს ბეთანიის გუმბათიანი ტაძარი. გადმოცემით, როდესაც ბეთანიას აშენებდნენ, სამშენებლო ქვას წყლულეთის გავლით ეზიდებოდნენ და ზოგიერთ მათგანს იქვე ტოვებდნენ ეკლესიის ასაშენებლად. სწორედ ამიტომ ბეთანიისა და წყლულეთის ტაძრები ერთი და იმავე ქვითაა აგებული.

აღდგენითი სამუშაოები დაიწყო 2004 წელს. მანამდე ტაძარი ძლიერ იყო დაზიანებული. 2004 წლის აგვისტოში ქვემო წყლულეთის ეკლესიის ინტერიერის გაწმენდის დროს, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი გ. დიაკონიძე აწარმოებდა, შემთხვევით აღმოჩნდა რუსული ხელობის, ვერცხლის მოოქროვილი ხატი. ამ აღმოჩენამ დღის წესრიგში დააყენა წყლულეთის ეკლესიის არქეოლოგიური შესწავლა და მისი რესტავრაცია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიის და საპატრიარქოს ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის საბჭოს მიერ შედგენილი პროექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევა ადნიშნული ეკლესიის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: გ. მახარაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), გ. გაგოშიძე (ხელოვნებათმცოდნე), დ. ბერიკაშვილი (არქეოლოგი) და თ. გაბუნია (არქიტექტორი).

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო წყლულეთის ეკლესია მანამდე უცნობი იყო ფართო სამეცნიერო საზოგადოებისთვის. იგი ბეთანიის მონასტრიდან 3-ოდე კმ-ით არის დაშორებული, მაგრამ მის შესახებ არც სამეცნიერო და არც სხვა წყაროებში არავითარი ინფორმაცია არ არის. უფრო მეტიც, ვ. ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაწვრილებით მიმოიხილავს იმ ადგილებს, სადაც ეს ეკლესია მდებარეობს. მას დიდი სიზუსტით აქვს განსაზღვრული ბეთანიის მონასტრის მდებარეობა, ნახშირგორის ეკლესია, ლასტის ციხე და ყველა დიდი თუ მცირე პუნქტი, რომელიც ამ მიდამოებში მდებარეობს, მაგრამ არც ერთი სიტყვით არ იხსენიებს ჩვენთვის საინტერესო ეკლესიას. როგორც ჩანს, მისთვის ეს ეკლესია უცნობი იყო და ეს ფაქტი ამ ძეგლის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

საველე სამუშაოები დაიწყო 2005 წლის 15 ივნისს და გაგრძელდა 1 ივლისამდე. გათხრების დაწყებამდე მთლიანი ტერიტორია პირობიად დაიყო სამ უბნად. პირველი უბანი ეკლესიის შიდა სივრცე, ინტერიერია; მეორე – ეკლესიის ეზო, ანუ გალავნით შემოფარგლული ფერიტორია; მესამე – ეკლესიის გალავნის გარეთ მდებარე ტერიტორია, ნასოფლარი.

თავდაპირველად მუშაობა დაიწყო ეკლესიის შიდა სივრცეში, ინტერიერში. გაიწმინდა ეკლესიის იატაკი და გამოვლინდა ქვით მოგებული საკურთხევლის იატაკი. არქეოლოგიური მასალა აქ ფაქტობრივად არ აღმოჩენილა, მაგრამ დადგინდა იატაკის დონე. ასევე გაიწმინდა ეკლესიის შიგნით, იატაკის ქვეშ გამართული ოთხი აკლდამა, რომლებიც ერთმანეთთან ვიწრო ღიობით არის დაკავშირებული. აღნიშნულ აკლდამებს, რომელთა ძირიც ეკლესიის იატაკის დონიდან 1.5 მ-ის სიღრმეზე მდებარეობენ, ერთი ჩასასვლელი აქვთ და ამ ჩასასვლელიდან შესაძლებელია ოთხივე აკლდამაში შესვლა. ოთხივე აკლდამა დაახლოებით ერთი ზომისაა. ოთხივეში აღმოჩნდა მიცვალებულთა ძვლები, რომელთა ნაწილიც მძარცველების მიერ დარღვეული და მიმოფანტული იყო, თუმცა აკლდამების ძირზე აღმოჩენილი მიცვალებულების ჩონჩხები, რომლებიც აქ სავარაუდოდ ყველაზე ადრე უნდა დაკრძალულიყვნენ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ დაცული (ყველა მათგანი თავით დასავლეთით). ოთხიდან სამი აკლდამის ძირზე ორ-ორი მიცვალებულის ჩონჩხი იქნა დაფიქსირებული, ხოლო მეოთხე აკლდამის ძირზე კი სამი მიცვალებული იყო დაკრძალული, მათ შორის ერთი ქალი, ერთი კი მცირეწლოვანი ბავშვი. რჩება შთაბეჭდილება, რომ მეოთხე აკლდამაში ერთი ოჯახის წევრები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალული (შესაძლოა ეს იყო ქტიტორის ოჯახი). აკლდამების გამყოფი კედელი კი, რომლის სისქეც 0.40 მ-ს აღწევს ეკლესიის საფუძველში, აღმოსავლეთიდან დასავლეთით წაგრძელებულ ჯვარს ქმნის.

უნდა ითქვას რომ ის მეოთხე აკლდამა ჩანგრეული იყო კედლიდან ჩამოვარდნილი ლოდით და სწორედ ამ ჩანგრეულ აკლდამაში იქნა ნაპოვნი აღნიშნული ივერიის ღვთისმშობლის ხატიც.

ტაძრის ეზოში, ანუ მეორე უბანზე, ეკლესიის ჩრდილოეთით გაითხარა 7 სამარხი, ყველა მათგანი ინვენტარის გარეშე. ამ სამარხებში მიცვალებულების დამხრობა განსხვავებული იყო და თვითონ სამარხებიც უსისტემოდ იყო განლაგებული. ყველა ეს სამარხი, სავარაუდოდ, გვიან ფეოდალურ ხანას უნდა უკავშირდებოდეს და ეკლესიის არსებობის ბოლო პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. ეკლესიის ეზოში მიწის დონის დაწვეის დროს, რაც განპირობებული იყო ეკლესიის საძირკვლის მიწისაგან განთავისუფლების აუცილებლობით, საკმაო რაოდენობის არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა. მასალა ძირითადად კერამიკით იყო წარმოდგენილი, აქ საყოფაცხოვრებო ჭურჭელი სჭარბობდა.

მეგლის მესამე და ამავე დროს ყველაზე ვრცელ უბანს გალავნის გარეთ არსებული ნასოფლარი წარმოადგენდა. იმის გამო, რომ ძირითადი მიზანი იყო ეკლესიის ინტერიერისა და შიდა ეზოს გაწმენდა-შესწავლა ( და ამავე დროს შეზღუდული იყვნენ როგორც ფინანსურად, ისე დროის თვალსაზრისით ), ვერ მოხერხდა გალავნის გარეთ არსებული ნასოფლარის მასშტაბური გათხრა. გაითხარა მხოლოდ გალავანზე სამხ-აღმ.-დან მიშენებული მცირე სათავსოს ნაშთი, რომელიც როგორც ჩანს სამეურნეო დანიშნულებისა იყო. გამოვლინდა სითხის შესანახი რეზერვუარი, თონე (სათავსოდან 3 მ-ში). ვარაუდით ესენი XVI-XVIII-ს უნდა უკავშირდებოდეს. ამით ირკვევა რომ აქ მეურნეობა იყო განვითარებული.

გალავნის გარეთ, ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს გამოვლინდა საკმაოდ მძლავრი კედლის ნაშთები, შესწავლის მოუხერხებლობის მიუხედავად აშკარა იყო, რომ აქ საკმაოდ მოზრდილი სამეორნეოან სხვა სახის ნაგებობა უნდა ყოფილიყო, და ამავე დროს უახლოვდება ზემოთ აღნიშნულ სათავსოში აღმოჩენილ კერამიკას.

მეგლზემოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში ორი სხვადასხვა ქრონოლოგიური ნივთები განირჩევა. ეს კარგად ჩანს როგორც საყოფაცხოვრებო კერამიკაში, ისე სამშენებლო ნაწარმში. ეკლესიის თარიღის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მინის გრეხილ სამაჯურს, რომელიც ტაძრის ეზოში აღმოჩნდა. ამგვარი მინის სამაჯურები დიდი რაოდენობით არის ცნობილი რუსთავის და განსაკუთრებით დმანისის ნაქალაქარების გათხრებიდან. ცნობილია, რომ მსგავსი მინის სამაჯურები მასიურად იყოგავრცელებული XII-XIII-ის საქართველოში. წყლულეთში აღმოჩენილი სამაჯურიც ამ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს.

XVI-XVII სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს მეორე ჯგუფის მასალა, რომელშიც ერთიანდება ღია ცისფრად მოჭიქული კრამიტი და მცირე ზომის მოხატული სამეურნეო ჭურჭელი. ეს მასალა უახლოვდება ეკლესიის განახლების ეტაპს. უნდა აღინიშნოს, რომ კრამიტი ორი სახითაა წარმოდგენილი. პირველი ტიპის კრამიტს წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილი ზომის, ბრტყელი, ნაპირებაწეული კრამიტი. მეორე კი ღარისებური კრამიტი, რომელიც ზედა მხრიდან ფირუზისფრადაა მოჭიქული. ამგვარი მოჭიქული კრამიტი ცნობილია XVI-XVII სს-ში. ასეთი სახის კრამიტი იყო გამოყენებული სამთავისის ტაძრის აღდგენითი სამუშაოების დროს, რომელიც სწორედ XVI-XVII სს-ში უწარმოებიათ. ასეთი ტიპის კრამიტი ცნობილია გრემის მთავარანგელოზის სახელობის ტაძრიდან, რომელიც ამავე ხანებით თარიღდება. ხოლო ტაძრის თავდაპირველი გადახურვა ზემოთ აღნიშნული მოზრდილი ზომის ბრტყელი კრამიტი იყო. საერთოდ განვითარებული ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელია ბრტყელი კრამიტი, რომლებზედაც რელიეფური ჯვარი იყო გამოსახული. ასეთი ჯვარიანი კრამიტები გამოიყენებოდა X-XII სს-ში (კუმურდო, მანგლისი, თიღვა ფიტარეთი). კრამიტზე ჯვარის გამოსახვა იმაზე მიუთითებს, რომ სპეციალურად საკულტო ნაგებობებისთვის იყო განკუთვნილი. ასევე ჯვრის ნაცვლად გამოყენებული იყო ხოლმე რელიეფური სამეურა ყვავილი.

წყლულეთის ეკლესიის დეკორები მდიდრული და სადაა. მის აღმ. და დას.-ის ფასადებზე მსგავსი ჩუქურთმებია - სადა ორ წყვილ ლილვზე „დასმულია“ სარკმლის დაჩუქურთმებული სწორკუთხა საპირე. სამხრეთის ფასადის შემქმულოდიდან ჩანს, რომ კარს ორნამენტული სწორკუთხა საპირე ევლებოდა, გაფორმებული იყო კარის წირთხლის შიდა პირიც. ალბათ ამ ფასადის სარკმელსაც არ დატოვებდნენ დეკორის გარეშე, მაგრამ გათხრებისას მისი შემქმულობის დეტალიდან მხოლოდ სადა ლილვებს მიაგნეს.

წყლულეთის ტაძრის აღმ. და დას. ფასადთა კომპოზიციები სიგრძე ღერძზეა განაწილებული, სარკმლები შეწყვილებული ლილვების კონას ეყრდნობა, ეს მოტივი დამახასიათებელია XII-XIII სს-ების ქართული წამყვანი ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის. ამ კომპოზიციის გართულებული ვარიანტი

პირველად სამთავისის აღმ. ფასადზე ვლინდება, აქ სარკმლის ქვეშ დეკორატიული რომბები, ხოლო სარკმლის თავზე კი დიდი რელიეფური ჯვარია გამოსახული.

ამგვარად, ეკლესიის ტიპი და არქეოლოგიური მასალა, რომელიც ძეგლზე იქნა აღმოჩენილი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში შემავალი მასალა თარიღდება XII-XIII სს-ით, უახლოვდება დმანისისა და რუსთავის ნაქალაქარის მასალას და ტაძრის თავდაპირველად აგების თანადროული უნდა იყოს. მეორე ჯგუფი მასალა კი XVI-XVIII სს-ს მიეკუთვნება ანუ იმ პერიოდს როდესაც ტაძრის განახლება მომხდარა.

სოფ. წყლულეთის მიდამო ბეთანიის მონასტერთან დაკავშირებული ტერიტორია იყო, ბეთანია კი თავდაპირველად ორბელიანთა ძლიერი ფეოდალური სახლის საგვარეულო სასაფლაო მონასტერი. 1177 წელს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ივანე ორბელის სიძის, დემნა უფლისწულის აჯანყების ჩახშობის შემდგომ, ისევე როგორც ორბელთა სამფლობელო - ქვემო ქართლის დიდი ნაწილი, სამეფო საკუთრებაში გადავიდა. წყლულეთის ეკლესიის მაშენებელი ქტიტორი უეჭველად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სამეფო სახლთან და მათი ვასალი იქნებოდა. ამ აზრს ირიბად, წყლულეთის ეკლესიის მდიდრული დეკორიც გვიმტკიცებს. ამგვარი სტილით შემკული ტაძრები, ქვემო ქართლში თამარის მეფობის შემდეგ და განსაკუთრებით ლაშა-გიორგის (1207-1223) დროიდან ჩნდება, რაც კიდევ ერთი ნეთელი დადასტურებაა იმისა, რომ ქვემო ქართლს სამეფო სახლი დაეპატრონა. წყლულეთის ეკლესიის აკლდამის აკლდამის ერთ-ერთ კამერაში საოჯახო სამარხი-მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ჩონჩხი დადასტურდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ტაძარი კარის ეკლესია იყო.

ტაძრის ეზოში მიწის დონის დაწვევის დროს ტაძრის აღმოსავლეთით აღმოჩნდა საფლავის ქვა, რომელიც იქ მდებარე სამარხებისგან განსხვავებულია. ამ ქვაზე ზემოდან გამოსახულია აყვავებული სვეტი, რაც ბაგრატიონთა გვარს უკავშირდება.

ამ ქვის გარდა კიდევ ერთი ქვა არის ამოუცნობი. იგი ტაძრის დასავლეთით დევს. ეს ქვა, როგორც დაადგინეს, ადრილობრივი არ არის. ამ ქვაზე გამოთლილია ტაძრის მაკეტი, ადამიანის ფიგურა და 4 წრე, რომლებიც გეგმაში ჯვარს ქმნიან.

ტაძრის მაკეტი ჩვენს ტაძარს წააგავს. იგი მომტვრეული იყო, ცალკე მიწაში იპოვნეს და შემდეგ დაადგეს. ჩვენი ტაძრით რომ ვიმსჯელოთ, მაკეტზე აღნიშნული ტაძრის კარის ნიში უნდა იყოს სამხრეთის ფასადი. აქედან გამომდინარე ადამიანის ფიგურა ტაძრის აღმოსავლეთით მდებარეობს, სწორედ იმ ადგილას სადაც პირველი ქვა დევს ავაგებული სვეტის გამოსახულებით. ამ ადამიანი ფიგურა ტაძართან შედარებით ორჯერ დიდია. შესაძლებელია, აქ ვინმე დიდი პიროვნება არის დაკრძალული. სხეულის მრგვალი ფორმებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ქალი უნდა იყოს. ევაც სწორედ ასე არის ხოლმე გამოსახული.

ხოლო ოთხი წრე ჯვრის ფორმით არ იცინა რა შეიძლება იყოს.

ამ განხილვებს თუ მივყვებით და XII-XIII სს-ებს დავუკავშირებთ, ამასთან ერთად გასაიდუმლოებას გავითვალისწინებთ, რადგან აქამდე ეს ყველაფერი უცნობი იყო, ადგილობრივ მკვიდრთა რწმენით და სხვათა ვარაუდით ეს შეიძლება თამარის მეფის საფლავი იყოს.

*ინფორმაციის წყარო:*

- საქართველოს საპატრიარქო.